სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დადგენილება №01-05-04/158

ქ. თბილისი 18 ივნისი 2018

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტებზე ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“, სტუ-ში აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის, სტუ-ის აკადემიური პერსონალის აფილირების წესისა და აკადემიური საბჭოს 2018 წლის 18 ივნისის №01-05-02/11 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

I. აკადემიური საბჭოს მიერ 2017-2018 სასწავლო წლის განმავლობაში მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში უნივერსიტეტი) ქვემოთ ჩამოთვლილ ფაკულტეტებზე 2018 წლის 23 ივნისს გამოცხადდეს ღია კონკურსი 2018-2019 სასწავლო წლიდან 4 წლის ვადით აკადემიური თანამდებობების (სრული პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი და ასისტენტი) დასაკავებლად:

1. სამშენებლო ფაკულტეტი;
2. ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი;
3. ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი;
4. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი;
5. არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი;
6. სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი;
7. ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი;
8. აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ფაკულტეტი;

9. საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი.

II. დამტკიცდეს ვაკანტური აკადემიური თანამდებობების ჩამონათვალი შესაბამისი საგანთა ჯგუფებით (დანართი 1);

III. დამტკიცდეს საკონკურსო პირობები და კონკურსზე წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა (დანართი 2);

IV. დამტკიცდეს დარგობრივი საკონკურსო კომისიების შემადგენლობები (დანართი 3);

V. დამტკიცდეს საკონკურსო დოკუმენტების, აგრეთვე აფილირებისა და შრომითი ხელშეკრულებების ფორმები (დანართი 4);

VI. საკონკურსო განცხადებების მიღება დაიწყოს 2018 წლის 24 ივლისიდან და გაგრძელდეს 26 ივლისის ჩათვლით ყოველდღე 10^{00}-დან 17^{00} საათამდე საკონკურსო კომისიის სამდივნოში;

VII. კონკურსი ჩატარდეს 2018 წლის 03 სექტემბრიდან 05 სექტემბრის ჩათვლით. კონკურსის პირველადი შედეგები შესაბამისი საკონკურსო კომისიის მიერ გამოქვეყნდეს არაუგვიანეს 2018 წლის 05 სექტემბრისა, გაიკრას თვალსაჩინო ადგილზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე: www.gtu.ge;

VIII. კონკურსი ჩატარდეს "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის წესდებისა და "აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის შესახებ" დებულების შესაბამისად;

IX. საკონკურსო კომისიის მიერ გათვალისწინებულ იქნეს: კონკურსანტის კვალიფიკაციისა და კომპეტენციის შესაბამისობა საკონკურსო თანამდებობასთან, მათ შორის საკონკურსო თანამდებობის პროფილის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი, პრაქტიკული, სასწავლო-მეთოდური და პედაგოგიური საქმიანობა; სხვა აქტივობები, მიღწევები, კვალიფიკაციები, გამოცდილება და დამსახურება; ასევე (კომისიის გადაწყვეტილებით) კონკურსანტის მიერ ჩატარებული ლექციის ან/და საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტთან (კონკურსანტებთან) ჩატარებული ინტერვიუს შედეგები;

X. კონკურსის ჩატარების წესის დარღვევასთან დაკავშირებით საკონკურსო კომისიაში განცხადებების/საჩივრების მიიღება მოხდეს 2018 წლის 08 სექტემბრის ჩათვლით.

XI. კონკურსის შედეგების დამტკიცება აკადემიურ საბჭოში და კონკურსის საბოლოო შედეგების გამოქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე (www.gtu.ge), აგრეთვე კონკურსში გამარჯვებულ პირებთან აფილირებისა და შრომითი ხელშეკრულებების გაფორმება მოხდეს 2018-2019 სასწავლო წლის დაწყებამდე 2 კვირის ვადაში;

XII. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ უზრუნველყოს, კონკურსის ჩატარებასთან დაკავშირებით, საჭირო ორგანიზაციული ღონისძიებების განხორციელება;

XIII. დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**